ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №49

ქ. თბილისი 16 დეკემბერი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომრის

მოადგილე გიორგი გოგოლაშვილი

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: კახაბერ ნიაური, დავით მახარობლიშვილი, გიორგი ჩაჩანიძე, გია აბულაძე, მერაბ გუჯეჯიანი, დავით აბულაძე.

მოწვეულები: მ. ცუხიშვილი, თ. ოქროპირიძე, მ. ჯაშიაშვილი, ლ. ბრეგვაძე, ი. ნადირაშვილი, თ. მურვანიძე, ა. გაგულაშვილი, თ. მურვანიძე, მ. სუხიტაშვილი, რ. სებისკვერაძე, ი. თოხაძე, გ. თოხაძე, მ. ჩხენკელი, ი. მელაძე, რ. ხეცურიანი, ი. წულაია, მ. ჯანელიძე, დ. ბაირამაშვილი, ნ. ბითაძე, დ. ლოსაბერიძე, რ. ტყემალაძე, გ. გვალია, ბ. ადამია, ი. ბერიკაშვილი, ვ. ძაგანია, მ. პაპუკაშვილი, ვ. ცომაია, დ. მაჭავარიანი, გ. ქანთარია, დ. შაფაქიძე, ი. აბაშიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, დოდაშვილის მოედანის №1ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

2. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.675) საწყობის, საწარმოსა და საოფისე შენობის ასაშენებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

3. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, კავთისხევის ქ. №1ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

4. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, აკურის ქ. №31-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს ასაშენებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

5. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ავტოტექმომსახურების სადგურის მიმდებარედ (ნაკვეთი №25/36) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.025.036) სავაჭრო ობიექტისა და საწყობის ასაშენებლად, ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ.

6. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქ. №6ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.153) ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ.

7. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზირის №52ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.34.004.009) ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ.

8. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ირ. აბაშიძის ქ. №29-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე დაშენების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

9. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.03.12.114) ორი პირველი კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

10. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ნასაგურში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.08.11.474) პირველი კლასის შენობის რეკონსტრუქციის მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

11. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ვაზისუბანის დასახლების III მიკრორაიონი II კვარტალის №7 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.07.005.009) მრავალფუნქციური (სპორტულ-ფიზკულტურული ნაგებობა, სპორტული დარბაზები) შენობა-ნაგებობის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენის შესახებ.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

4. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, აკურის ქ. №31-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს ასაშენებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ა. ჩხაიძე. AR 1183398
დადგენილი პარამეტრები –კ2=4,0.
მოთხოვნილი პარამეტრები –კ2=4.1.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, აკურის ქ. №31-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს ასაშენებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=4,1.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

5. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ავტოტექმომსახურების სადგურის მიმდებარედ (ნაკვეთი №25/36) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.025.036) სავაჭრო ობიექტისა და საწყობის ასაშენებლად, ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ.

განმცხადებელი – რ. ბასილაძე. AR 1182531
დადგენილი ზონის სახეობა – სარეკრეაციო ზონა I. სარტანსპორტო ზონა I.
მოთხოვნილი ზონის სახეობა - ?

- მისაღებია.
- არ არის მისაღები. არ საჭიროებს სიმაღლის განმსაზღვრელი კოეფიციენტის მოკლებას.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ხვამლის ქ. №8-ში (ნაკვეთი №1/8) არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით, „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების №35-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული Y-ის მნიშვნელობის განსაზღვრაზე Y=0,3.

განხილვის შედეგი: მომხრე: 6, წინააღმდეგი: 2.

კომისიის თავმჯდომრის

მოადგილე გიორგი გოგოლაშვილი

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ჯეჯან გეგეშიძე

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება №2899

" 19 " დეკემბერი 2013 წ.

ქ. თბილისში, აკურის ქ. №31-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს ასაშენებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის სხდომის №49 ოქმის შესაბამისად:

1.ქ.თბილისში, აკურის ქ. №31-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს ასაშენებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: **კ2=4,1.**

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი.” ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE25LB0125152101627775.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა